საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1/432

ქ. თელავი „19“ „07“ 2016 წ.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016- 2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის გარე მობილობის რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის №122/ნ-ე ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის“- იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა” ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის მზია ღაღოლიშვილის სამსახურებრივი ბარათის (13.07.2016წ N863192) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის გარე მობილობის ვადა განისაზღვროს შემდეგი გრაფიკით:
   - გარე მობილობის პროცესში მონაწილე პირთათვის განცხადების წარდგენის ვადები განისაზღვროს 2016 წლის 24 აგვისტოდან 2016 წლის 02 სექტემბრის 12^{00}- საათის ჩათვლით;
   - უნივერსიტეტის ფაკულტეტების მიერ გარე მობილობის დასკვნების უნივერსიტეტის კანცელარიაში წარდგენის ვადები განისაზღვროს 2016 წლის 25 აგვისტოდან 2016 წლის 02 სექტემბრის 17^{00}- საათის ჩათვლით;
   - უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიდან სტუდენტთა გარე მობილობის შედეგები წარმოდგენილ იქნას 2016 წლის 07 სექტემბრის ჩათვლით.

2. დაევალოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს (ა. ღაღანიძე) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
3. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების საინფორმაციო დაფაზე განთავსება;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი დავით აღმაშენებლის გამზ. N41).

უნივერსიტეტის რექტორი ირმა შიოშვილი